სესიის დარბაზიდან

ეს ფოტოსურათი გადაღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე. შესვენების დროს გაცხოველებით საუბრობენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (მარცხნიდან) — თელავის რაიონის სოფ. იყალთოს კოლმეურნეობის მეეენახე ვ. შათირიშვილი, ახალციხის შახტსამმართველოს მესანგრეთა ბრიგადირი ა. ჯაბარიძე, წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობის მერჩაე მერგოლური დ. წივწივაძე, თბილგვირაბმშენის ბრიგადირი ა. ჯაბარიძე, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ჯაფარიძე.

ფოტო ფ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 ივნისი პარასკევი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 143 (14747)

მტკიცე საბჭოთა ოჯახისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

18 ივნისის

საბოლოო სხდომა

18 ივნისს საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მუშაობას განაგრძობდა. დილის 10 საათზე დაიწყო სესიის მესამე — საბოლოო სხდომა. თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

დეპუტატები განაგრძობდნენ დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებისა და თანამოხსენებების განხილვას. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ა. ს. ბუდაღაშვილი (ქვემო ჭალის საარჩევნო ოლქი, კასპის რაიონი) და ნ. ბ. დარბაისელი (სვერის საარჩევნო ოლქი, ქ. ჭიათურა).

შემოდის წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ზ. ბ. გელდიაშვილმა.

დეპუტატები ერთხმად იღებენ დადგენილებას „ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში“.

სესია შეუდგა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას. დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ბ. კარანაძის მოხსენება „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ა. ვ. კრშანა (შაუმიანის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ზ. მ. რატიანი (ლესიჭინის საარჩევნო ოლქი, ზხოროწყუა რაიონი), ვ. ი. მაისურაძე (ზემო ქედის საარჩევნო ოლქი, წითელწყაროს რაიონი), მ. ი. მარტინოვა (ლესელიძის საარჩევნო ოლქი. ქ. თბილისი), ი. ნ. ელოშვილი (თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქი, თეთრი წყაროს რაიონი), ბ. ვ. ქავარცხავა (მენჯოს საარჩევნო ოლქი, ცხაკაიას რაიონი).

სესიის სხდომაზე გამოსულმა ყველა დეპუტატმა და ორატორმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქორწინო და საოჯახო კანონპროექტის განხილვა თვალნათლივ მოწმობს, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა ჩვენში ოჯახის განვითარებისა და განმტკიცების, საბჭოთა მოქალაქეების აღზრდის საკითხებს. ოჯახი საზოგადოების პირველადი უჯრედია. იგი ბევრად განსაზღვრავს ადამიანის სახეს, მის საზოგადოებრივ და შრომითს აქტივობას, მოზარდი თაობის სწორ აღზრდას და საბოლოო ანგარიშით მთელი საზოგადოების წარმატებებს.

ზრუნვა საბჭოთა ოჯახისათვის, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები, მუდამ იყო ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. როგორც დეპუტატები აღნიშნავდნენ, სესიის განსახილველად შეტანილ პროექტს საფუძვლად უდევს მოქმედი კანონმდებლობის შემუშავებული და წინა წლების პრაქტიკით შემოწმებული ნორმები. ამასთანავე პროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ ახალ დიდმნიშვნელოვან დებულებებს, რომლებიც სრულყოფენ არსებულ ნორმებს და ასახავენ საზოგადოებრივი ცხოვრების მომწიფებულ მოთხოვნილებებს. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობაში პროექტით გათვალისწინებული ცვლილებანი ხაზს უსვამენ საქორწინო კავშირის მნიშვნელობას, იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც ქორწინდებიან. მოიწონეს რა სესიაზე განხილული კანონპროექტი, დეპუტატებმა გამოთქვეს მთელი რიგი სურვილები და შენიშვნები.

ამით დამთავრდა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. ბ. კარანაძემ.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს „საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

უმაღლესი საბჭო გადავიდა დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვაზე. მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კპაკაძემ.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც გამოცემულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე და მეშვიდე სესიებს შუა პერიოდში, მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

დეპუტატებმა მიიღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში დამატებათა შეტანის შესახებ.

ამით საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მუშაობა დაამთავრა. (საქდესი).

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ზ. გელდიაშვილის მოხსენება „ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში“, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ნონეშვილის თანამოხსენებანი, აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კანონის ცხოვრებაში გატარებამ საგრძნობლად გაუმჯობესა რესპუბლიკაში ბუნების დაცვის მდგომარეობა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 24 ივნისის დადგენილებამ ბუნების დაცვის კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 მარტის დადგენილებით „ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე ცალკეულმა სამინისტროებმა, უწყებებმა, წარმოება-დაწესებულებებმა გააძლიერეს ბრძოლა ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და კვლავწარმოების უზრუნველყოფად. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები თავიანთ სესიებზე იხილავენ ბუნების დაცვის საკითხებს და ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დასაცავად. გაშენდა სახელმწიფო ქარსაფარი ზოლები 1.800 ჰექტარზე, მინდორსაცავი ტყის ზოლები — 5.100 ჰექტარზე, ტყეები — 4.600 ჰექტარ ჩამორეცხილ ფერდობებზე, 1.500 ჰექტარზე მოწყობილია ტერასები, 800 ათას ჰექტარზე ჩატარებულია ნიადაგის მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევა. 406 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩატარდა შიგასამეურნეო მიწათმოწყობა და შემოღებულია თესლბრუნვა. შემუშავებულია ტყის ჭრის ახალი წესები, გაუმჯობესდა მცენარეთა მავნებლებისა და უნებლიერთა ბალახების დაცვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და მდინარეების გაჯუჯყიანებისაგან დაცვისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ინიციატივით და მუდმივი კომისიების, დეპუტატების, საზოგადოება „ბუნების მეგობრის“, წარმოება-დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობით ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში გაშენდა ტყე-პარკები, ბაღები, გამწვანდა გზები და მაგისტრალები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა გარეული ცხოველების, აგრეთვე თევზის დაცვისა და მომრავლების საქმე. გაძლიერდა ბრძოლა ბრაკონიერებისა და ბუნების სიმდიდრეთა ყველა ხელმყოფის წინააღმდეგ.

სეროზული ღონისძიებანი განხორციელდა შავი ზღვის სანაპიროს, მდინარეების, წყალსაცავების, ტყეების დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

ამასთან ერთად, რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონის შესრულებისა და ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ არის ხეროზული ნაკლოვანებები.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, სახოფლო-სამეურნეო ორგანოები და სამეცნიერო დაწესებულებები არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს ბუნების დაცვის, მოყვლისა და მის სიმდიდრეთა უკეთ გამოყენებისათვის. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია ისიც, რომ ყოველწლიურად აუთვისებელი რჩება ამ დანიშნულებით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობენ და სათანადო კონტროლს არ უწევენ საირიგაციო სისტემების ექსპლოატაციას. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უხეშად არღვევს რწყვის წესებს, რის გამოც ზოგიერთ რაიონში სწრაფი ტემპით ვითარდება ირიგაციული ეროზია.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ აღკვეთილი არ არის 15 გრადუსზე მეტი დაქანების მქონე ფერდობებზე სამინდის, თამბაქოსა და სხვა სათოხნი კულტურების თესვა-მოყვანა, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ინტენსიურ ჩამორეცხვას.

წყლისმიერ ეროზიასთან ერთად რესპუბლიკის ბევრ რაიონში დიდი ზიანი მოაქვს ქარისმიერ ეროზიას.

საკმაო ყურადღება არ ექცევა ჩამორეცხილი ფერდობების გამდელობა-გატყიანებას და სხვა ღონისძიებებს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან მრავალწლიანი საკვები ბალახების თესლით.

საქართველოს სსრ მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, ქიმიური მრეწველობის სამმართველო, ზოგიერთი სხვა სამინისტრო, უწყება და ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ თავიანთ დადგენილებას იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი გახადონ და შესაბამის მეურნეობებს დაუბრუნონ მათთვის დროებით საექსპლოატაციოდ გადაცემული მიწები, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები არ ახორციელებენ საჭირო კონტროლს. ამის შედეგად მიწის მნიშვნელოვანი ფართობები გამოსულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან და განიცდის ეროზიას.

გაბშირდა მეწყერები, წყალდიდობა და ბუნების სხვა მავნე მოვლენები.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ხშირად ირღვევა ტყის მეურნეობის წარმოების დადგენილი წესები (აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ახმეტის, თიანეთის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის და სხვა რაიონები), ადგილი აქვს ტყის თვითნებურად გაჩეხვის შემთხვევებს. მარტო უკანასკნელ 4 წელიწადში სახელმწიფო ტყეებში უნებართვოდ მოჭრილია 29,888 კუბური მეტრი ხე-ტყე.

არადამაკმაყოფილებელია საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და ექსპლოატაციის მდგომარეობა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ტყეში გზების მშენებლობას, რაც ხელს უშლის ტყის დიდ მასივებში სატყეო-სამეურნეო გამაჯანსაღებელი ღონისძიებათა ჩატარებას.

ნაკლოვანებებია სასარგებლო ნადირ-ფრინველის დაცვის, მოშენებისა და კვლავწარმოების საქმეში, ირღვევა ნადირობის ვადები და ნორმები. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ბრაკონიერობა.

სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოები, აგრეთვე ბუნების დაცვის სპეციალიზებული სამსახური სუსტად ებრძვიან ბუნების სიმდიდრეთა განადგურებას, ყოველთვის არ იღებენ ოპერატიულ ზომებს დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ საჭირო ყურადღებას არ აქცევს შავი ზღვის სანაპიროს, რესპუბლიკის მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების გაჯუჯყიანების წინააღმდეგ ბრძოლას. წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებას. არ სრულდება გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმები და აუთვისებელი რჩება სახელმწიფოს მიერ ამ დანიშნულებით გამოყოფილი სახსრები.

ჯერ კიდევ არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი რესპუბლიკის წყალსაცავებში თევზის მომრავლებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, ირღვევა თევზჭერის დადგენილი წესები.

ბუნება წარმოადგენს მატერიალური დოვლათის პირველწყაროს, თვითეული ადამიანის ჯანმრთელობის, სიხარულის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს და მისი დაცვის შემდგომი გაუმჯობესება, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება საერთო სახალხო საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. გამომდინარე აქედან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის უმთავრეს ამოცანად მიჩნეულ იქნეს ბუნების სამდიდრეთა დაცვა, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება და გამრავლება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებს:

ა) განიხილონ ბუნების დაცვისა და მისი რესურსების გამოყენების, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რეგულარულად შეამოწმონ ბუნების დაცვის კანონის შესრულების მდგომარეობა, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი, საზოგადოება „ბუნების მეგობარი“ და მშრომელთა ფართო მასები;

ბ) დასახონ და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის, უზრუნველყონ ეროზიის საწინააღმდეგო აგროტექნიკური წესების დაცვა, არ დაუშვან 15 გრადუსზე მეტი დაქანების მქონე ფერდობებზე ერთწლიანი სათოხნი კულტურების თესვა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას, ფერდობების გატყიანებას და ბალახთესვას;

გ) სათიბ-საძოვრებისა და მდელოების დაცვის მიზნით უზრუნველყონ მათი გაწმენდა ქვებისა და მავნე ბალახებისაგან, დაფარცხვა, მრავალწლიანი ბალახების თესვა, სასუქების შეტანა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება;

დ) განიხილონ საკოლმეურნეო ტყეების მდგომარეობის საკითხი და მიიღონ საჭირო ზომები მათი დაცვისა და მეურნეობის სწორად წარმოებისათვის;

ე) გადაჭრით გაუმჯობესონ სარწყავი წყლის გამოყენება, სახოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის წესების დაცვა. არ დაუშვან ნიადაგის ირიგაციული ეროზიის განვითარება, სრულ წესრიგში იქონიონ საირიგაციო სისტემები და შიგასამეურნეო სარწყავი ქსელი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს გააძლიერონ სამეცნიერო მუშაობა ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მწყობრი სისტემების დასამუშავებლად და უზრუნველყონ მათი პრაქტიკაში დანერგვა.

4. საქართველოს სსრ მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის და საავტომობილო გზების სამინისტროებმა, ქიმიური მრეწველობის სამმართველომ, სხვა სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებში ყოველწლიურად გაითვალისწინონ ღონისძიებანი, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისს გახდიან მათთვის დროებით სარგებლობაში გამოყოფილ მიწის ფართობებს და უზრუნველყოფენ მათს დაბრუნებას მუდმივ მიწათმოსარგებლეებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) განახორციელოს ღონისძიებანი რესპუბლიკის სახელმწიფო ტყეების დაცვის გასაუმჯობესებლად. სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტებთან ერთად შეიმუშაოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტყეებში მეჩხერი კორომების აღდგენის პერსპექტიული გეგმა და შესაბამისად განაახლოს ტყის მოვლის სამუშაოთა მოცულობა.

ბ) სათანადო კონტროლი დაუწესოს რესპუბლიკის ტყეების დაცვა-ზე, გადამჭრელი ზომები მიიღოს ტყის უნებართვო მჭრელების მიმართ, ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს ტყის მავნებლების, განსაკუთრებით კი ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ.

გ) შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს წინადადებანი ტყის ფართობებზე პირუტყვის ძოვების ახალი წესების შემოღების შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს გააძლიეროს ხელმძღვანელობა სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მუშაობისადმი, საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ რესპუბლიკურ საბჭოსა და „მონადირეთა“ გამგეობასთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი რესპუბლიკაში სასარგებლო ნადირ-ფრინველის კვლავწარმოებისა და ნადირობის წესებისა და ვადების დაცვის უზრუნველსაყოფად.

7. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები მწვანე ნარგავთა მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად და ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში ტყე-პარკების, ბაღების, სკვერების, უკვალნარების გასაშენებლად მოსახლეობის, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის, ფართო მონაწილეობით.

8. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის, კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, ქიმიური მრეწველობის სამმართველომ, რუსთავის მეტალურგიული, სინთეტიკური ბოჭკოების, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებმა და შესაბამისმა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ზღვაში, მდინარეებსა და სხვა წყალსატევებში ჯაჭვშენდადი საწარმოო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლის ჩაშვების წინააღმდეგ; არ დაუშვან საწარმოებისა და საამქროების საექსპლოატაციოდ მიღება წყლის საწმენდ ნაგებობათა და კანალიზაციის გარეშე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს მტკიცედ დაიცვან რესპუბლიკის მდინარეები, წყალსაცავები და ტბები ბანდნერებისაგან და უზრუნველყონ მათი გეგმაზომიერი გამოყენება, ხოლო საქართველოს სსრ წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი ამ საქმისადმი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს გააძლიერონ კონტროლი ატმოსფერული ჰაერისა და წყალსატევების ბანდნერების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებისადმი, მკაცრი პასუხი მოსთხოვონ ამ საქმეში დამნაშავე თანამდებობის პირთ.

11. საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააძლიერონ ბრძოლა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ, არ დაუშვან ასეთ დანაშაულობათა საქმეების გამოძიება-განხილვის გაჭიანურება, ზოგიერთ საქმეთა განხილვა მოაწყონ მშრომელთა კოლექტივებში, მოსახლეობის კრებებზე.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს კიდევ უფრო გააძლიერონ ბუნების დაცვის პროპაგანდა, სისტემატურად გააშუქონ მასთან დაკავშირებული საკითხები, მკაცრად ამხილონ ბუნებისა და მისი რესურსების ყველა ხელმყოფი, შეიქმნან საზოგადოებრივი აზრი მათ წინააღმდეგ. ამ საქმეში ფართოდ ჩაბმულ მეცნიერები, მწერლები, სპეციალისტები და მშრომელთა ფართო მასები.

13. საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროებმა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს და სხვა სასწავლებლებში მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა და სტუდენტთა აღზრდას ბუნებისადმი სიყვარულისა და სათუთი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

14. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

ა) სისტემატურად განიხილოს საკითხი, თუ როგორ ახორციელებენ სამინისტროები, უწყებები, სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები და მეურნეობები ბუნების დაცვის, მისი რესურსების გამოყენებისა და კვლავწარმოების, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებებს; დასახოს და განახორციელოს საჭირო ზომები ამ დანიშნულებით გამოყოფილი ფულადი და მატერიალური სახსრების ასათვისებლად;

ბ) შეიმუშაოს წინადადებანი იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ზიანს აყენებენ ბუნებას, უდიერად ეპყრობიან მის სიმდიდრეს და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

გ) შეიწყვალოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი და თავისი წინადადებანი განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

* * *

საქართველოს სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობა გაუხარელად შეასრულებენ ბუნების დაცვის კანონს და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კპაკაძე

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი



საკდესის ცნობა

400 საათი ორბიტულ ფრენაში

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი მეოცე დღეა იმყოფება ორბიტულ ფრენაში. 14 საათისა და 49 წუთისათვის მოსკოვის დროით ხომალდმა 270-ჯერ შემოუარა დედამიწას. ამ დროისათვის ანდრიან ნიკოლაევმა და ვიტალი სევასტიანოვმა კოსმოსურ სივრცეში დაჰყვეს 400 საათი.

კოსმონავტების ძორიგი სამუშაო დღე გაგრძელდა დაახლოებით 16 საათს და დამთავრდა 18 ივნისს დილის 3 საათზე. ფრენის მეჩვიდმეტე დღის პროგრამით კოსმონავტები ასრულებდნენ სამეცნიერო-ტექნიკურ ექსპერიმენტებს.

დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად ა. ნიკოლაევი და ვ. სევასტიანოვი მუშაობის დაწყების წინ შეამოწმეს საბორტო სისტემები და ისაუბრეს, რამდენიმე გარეშემოვლის მანძილზე ისინი აკვირდებოდნენ ღრუბლის საფარველს, აგრეთვე ჩვენი პლანეტის ზედაპირს: დამახასიათებელი რელიეფის რაიონებს, ოკეანის სანაპირო ხაზს, მთის მასივებს და აწარმოებდნენ მათს ფოტოგრაფირებას.

რადიოკავშირის სეანსებში კოსმონავტები გადმოსცემდნენ ცნობებს პამირის, ბაიკალის, ტბებ რაიონებზე, ალმოსავლეთ ციმბირის ტყის მასივებსა და წყნარი ოკეანის სანაპიროზე დაკვირვების შესახებ.

სამუშაო დღის გაბმულობაში ა. ნიკოლაევი და ვ. სევასტიანოვი აგრეთვე აკვირდებოდნენ მოვარეს და იღებდნენ მის ფოტოსურათებს დედამიწის ჰორიზონტის ფონზე. მათ გამოიკვლიეს კანადისა და ორბიტული ნაკვეთურის ილუმინატორების გარეთა ზედაპირი და დაწერილებით გადმოსცეს დედამიწაზე ცნობა მათი მდგომარეობის შესახებ.

სამუშაო დღის დასაწყისში და დასასრულს ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი ასრულებდნენ სამეცნიერო ექსპერიმენტებს, აგრეთვე კონტროლს უწევდნენ ერთმანეთის ჯანმრთელობას, გაიზომეს არტერიული წნევა, მაჯისცემისა და სუთქვის სიხშირე. ტელემეტრიის მონაცემებითა და კოსმონავტების მოხსენებებით, ნიკოლაევის მაჯისცემის სიხშირე წუთში იყო 76, სევასტიანოვისა — 64, სუთქვის სიხშირე ორივე კოსმონავტისა წუთში იყო 16.

სამედიცინო კონტროლის შედეგების ანალიზი მოწმობს, რომ კოსმონავტებმა შეინარჩუნეს მაღალი შრომისუნარიანობა და თავს ჯანმრთელად გრძნობენ.

„სოიუზ-9“ ხომალდის ეკიპაჟის მორიგი სამუშაო დღე დაიწყო 18 ივნისს 11 საათზე მოსკოვის დროით. რადიოკავშირის სეანსში ანდრიან ნიკოლაევმა გადმოსცა, რომ დასვენების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ და ეკიპაჟი შეუდგა მეთვრამეტე დღის პროგრამის შესრულებას.

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდი ფრენას განაგრძობს.

მიფრინავს „კოსმოს-349“

17 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-349“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

უ ტანი მოსკოვში ჩამოვიდა

17 ივნისს საბჭოთა მთავრობის მოწვეულით მოსკოვში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი.

□ □

თბილისის მოთავალი

17 ივნისს თბილისში გაიმართა სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახმშენის გა

შემდგომი თანამშრომლობის ინტერესებისათვის

17 ივნისს სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში გამართა საუზმე შვეიცის პრეზიდენტ-მინისტრის ულოფ პალმეს პატივსაცემად.

საუზმის დროს სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** და შვეიცის პრეზიდენტ-მინისტრმა **ულოფ პალმემ.**

საბჭოთა მთავრობის სახელით ა. ნ. კოსიგინი გულთბილად მიესალმა პრეზიდენტ-მინისტრ ულოფ პალმესა და ყველა შვედ სტუმარს, რომლებიც მასთან ერთად ჩამოვიდნენ მოსკოვში. მივესალმებით თქვენს, როგორც შვეიცის მთავრობის მეთაურს, ვიზიტს საბჭოთა კავშირში, თქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს უწინარეს ყოვლისა გამოხატავს მეზობელი ქვეყნის კეთილ ნებას კვლავაც ვითარდებოდეს ურთიერთობა შვეიცარიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

საბჭოთა კავშირში, თქვა შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა, გაგებით ეკიდებიან ნეიტრალიტეტის ტრადიციულ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდა შვეიცარიის მთავრობა ბატონ ერლმეტერის მეთაურობით და „რომელსაც განაგრძობს შვეიცარიის ახლანდელი მთავრობა თქვენი მეთაურობით. ეს პოლიტიკა ჩვენ მიგვაჩნია დიდმნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს სტაბილურობის შენარჩუნებას ევროპის კონტინენტზე, განსაკუთრებით ევროპის ჩრდილოეთში. იგი ხელს უწყობს ავრეთვე კარგი პირობების შექმნას საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ურთიერთობის განვითარებისათვის.

კმაყოფილი ვართ იმის გამო, რომ ამ ბოლო წლებში გრძელდება შვეიცარია და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობის გაფართოების პროცესი. იმის შესაბამისად, როგორც სტოკჰოლმში შეეთანხმებით ორი წლის წინათ, ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და მის საფუძველზე მოქმედებას აწყებს მუდმივი სამთავრობათაშორისო კომისია, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ამ შეთანხმების წარმატებით განხორციელება. დადებულია ავრეთვე შეთანხმება შვედობიანი მიზნებისათვის ატომური ენერგიის გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ორ ქვეყანას ახლაც და მომავალშიც უსახავს ახალ შესაძლებლობებს მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის გაფართოებისათვის.

მნიშვნელოვნად განვითარდა ურთიერთვაჭრობა. უახლოეს ხანში ხელმოწერილი იქნება ახალი გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება სსრ კავშირსა და შვეიცას შორის 1971-1975 წლებისათვის.

წარმატებით რომ გამოვიყენოთ შვედობიანი თანამშრომლობის ეს და სხვა შესაძლებლობანი, თქვა შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა, როგორც საბჭოთა კავშირი, ისე შვეიცარია არ შეიძლება დაინტერესებული არ იყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, მსოფლიოში არსებული ომის კერების ლიკვიდაციით. ამ კერების არსებობის ძირითადი მიზეზია ბოლო-ოდ-ოდ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებას და ახლო აღმოსავლეთში შვედობის აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციის ზუსტად შესრულების საფუძველზე.

ამჟამად, თქვა შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა, როცა ხალხთა მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური მოწინავეობის საქმეს იცავენ თანამედროვეობის მძლავრი ძალები, ავრესორის პოლიტიკა პოზიციებს ვერ განუმტკიცებს იმათ, ვინც მას ახორციელებს. იგი იწვევს ანტიიმპერიალისტური ძალების სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობასა და შეკავშირებას, ავრესორს აყენებს საერთაშორისო იზოლაციის მდგომარეობაში, რომელიც სულ უფრო ძლიერდება, იწვევს ისეთ სიძნელეებს, რომელთა დაძლევა ავრესორს არ ძალუძს. გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — განუხრელად დაიცვან ხალხთა კანონიერი უფლებანი და ინტერესები, განუხრელად დაიცვან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. დარწმუნებული ვართ, რომ ამ სამართლიან საფუძველზე შეიძლება მივაღწიოთ ძირეულ შემობრუნებას საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებაში, მივაღწიოთ დაძაბულობის შენელებას, შეიქმნათ ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმწიფოთა ფართო თანამშრომლობას მათი მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარების, შრომის საერთაშორისო განაწილების უპირატესობათა, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მშვიდობიანი მიზნით გამოყენების ინტერესებისათვის და არა ადამიანთა მოსპობისა და მათი შრომის შედეგების განადგურების მიზნით.

შვეიცარია, თუმცა იგი არ მონაწილეობდა მსოფლიო ომებში, ალბათ კარგად აქვთ წარმოდგენილი, თუ რა იქნებოდა თანამედროვე ომი, განსაკუთრებით ევროპაში. ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემა გახდა ჩვენს კონტინენტზე.

ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა სრულიად ევროპის თათბირი. საბჭოთა კავშირში ყოველივე ეგი ინიციალურ იმ ფაქტს, რომ თათბირის იდეას დადებითად ეხმაურებიან შვეიცარია და ჩრდილოეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა მთავრობები, ხოლო ფინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს თათბირის პრაქტიკულ მომზადებას. ჩვენ იმ აზრს ვიზიარებთ, რომ გამოიხატოთ ამ პრობლემისადმი ურთიერთმისაღები მიდგომა, გაეითვალისწინოთ თვითეული მხარის წინადადებანი, თუ, რა თქმა უნდა, მთ მხედველობაში აქვთ კონსტრუქციულად შეუწყონ ხელი თათბირის მოწვევას, ევროპის უშიშროების განმტკიცებას, და არა ხელოვნურად გაეპიანურონ თათბირის მომზადება. შემნან დაბრკოლებანი თათბირის მოწვევის გზაზე. ჩვენი მხრივ სრულებითაც არ ვაბრკოლებთ თავს მოვაბეითთ ვინმეს ჩვენი შეხედულებანი ევროპის პრობლემებისა და მათი გადაჭრის საშუალებათა შესახებ.

ევროპაში ვითარების გაჯანსაღება ხელს შეუწყობს თანასწორუფლებიანი ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას ევროპის ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მონაწილეობით.

ჩვენ საპიროდ მიგვაჩნია, რომ იზრდებოდეს ნდობა სახელმწიფოთა შორის, განიცხადა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, რომ მათს ურთიერთობას საფუძვლად ედოს ომისშემდგომი ევროპის ობიექტურ რეალობათა ცნობა. ამით მოიგებდა ყველა ხალხი, მათ შორის, რა თქმა უნდა, როგორც შვეიცარია, ისე საბჭოთა კავშირის ხალხებიც.

ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, ისე როგორც მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის სხვა საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში, საბჭოთა კავშირი მზად არის განაგრძოთ ურთიერთობა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

უ. პალმემ წარმოთქვა ტოსტი შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის კარგი, მშვიდობიანი ურთიერთობისათვის. (საკდესი).

ლამთავრდა საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის მოლაპარაკება

18 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის** შეხვედრა შვეიცარიის პრეზიდენტ-მინისტრთან **ულოფ პალმესთან.**

ორივე ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებსა და საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე. მათ განიხილეს ავრეთვე კომუნიკე საბჭოთა მთავრობის, შვეიცარიის ფედერალური საბჭოს ეროვნული ბანკის ერთობლივ ინიციატივაზე ეროვნული ვალუტების ოქროს სტანდარტზე გადაყვანის საკითხებზე. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დაკვიცვათ, გავუფრთხილდეთ დედაბუნებას!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ე. ნონეშვილის თანამოხსენება

ამხანაგებო დეპუტატებო, ძვირფასო მეგობრებო!

ამ ბოლო დროს ბუნების დაცვის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყველგან და კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში.

ქართველი კაცი ყოველთვის ამაყობდა და ამაყობს საქართველოს ულამაზესი, დიდებული, მრავალფეროვანი ბუნებით. სხვა ხალხებისაგან განსხვავებით ქართველი ხალხი ბუნებას დედას — დედაბუნებას უწოდებს, რადგან კარგად იცის, რომ დედასავით მადლიანია, ალალუბერი და დაუფიქრებელი ჩვენი მთები და ველ-მინდვრები, ჩვენი ტბები და მდინარეები, ჩვენი მაღნარები და ულრანები, ჩვენი, როგორც იტყვიან, წილხვედრი მიწა-წყალი.

დედას კი ეეძახით დედაბუნებას, მაგრამ ყველა დედასავით როდი ეპყრობა მას, როდი ახსოვს, რომ ჩვენ ბუნებაში ვართ და ბუნება ჩვენშია, რომ ბუნება მთლიანია, განუყოფელი, რომ ბუნების ყველა მოვლენა ერთმანეთთან ურღვევ ურთიერთკავშირშია, ერთის ხელყოფა შემმუსვრელად მოქმედებს მეორეზე და საბოლოოდ ეს პროცესი ადამიანის საზარალოდ მთავრდება. რა დიდებულად თქვა ვაჟამ:

ხევი მთას ჰმონებს, მთა — ხევსა,
წყალნი—ტყეს, ტყენი მდინარეთ,
ყვავილი მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ...

ბუნების მოღალიანობის ეს იდეა, საბედნიეროდ კარგად გაიგეს ჩვენი მოსახლეობის ფართო ფენებმა. რა-საკვირველია, სამწუხაროდ, ჩვენს ბუნებას აქა-იქ კიდევ შემორჩენენ უუნურნი, უმადური შვილები, მაგრამ ამ ბოლო დროს ისინი ძალიან ცოტანი დარჩნენ იმათთან შედარებით, ვინც მზრუნველად, ქომაგად უდგას დედა-ბუნებას...

დღეს, როცა განვიხილავთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ამხანაგ ზაალ გელდიაშვილის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის საქმეში, თამამად შეიძლება ითქვას: ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კი ბუნების დაცვის კანონის მიღების შემდეგ გაკეთდა ჩვენში, გახლავთ ის, რომ ბუნების დაცვის საქმეში ჩაება ათასობით და ათეულ ათასობით მშრომელი, გახლავთ ის, რომ შეიქმნა საყოველთაო, საერთო-სახალხო აზრი ბუნების დაცვის დიდ და ეროვნულ საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ბუნების დაცვა კანონით საერთო-სახალხო საქმედ გამოაცხადა და სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების დიდ საზრუნავად მიიჩნია.

ამიტომ არის, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ ბევრმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, ჩვენი ბუნების მრავალმა გულშემატკივარმა ღვიძლ საქმედ გაიხადა ბუნების მოვლა-პატრონობის საქმე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს „ბუნების მეგობრის“ საზოგადოება, რომელმაც ახლახან თავის ყრილობაზე შეაჯამა მილიონ სამასი ათასიანი აქტივის მრავალმხრივი და საინტერესო მუშაობა.

1900 წლის სექტემბერში „ოვერია“ წერდა: „თბილისის გარშემო ადგილები გახრიოკებულია, ერთი ბუჩქიც კი არსად მოიპოვება“. დღეს თბილისელი მბრძოლები ამაყობენ ხასხასა შემოგარენით. მათ ხომ თავიანთი ხელით გაამწვანეს, გაატყიანეს სწორედ ეს გახრიოკებული, ჩამორეცილი ხევები და ფერდობები. ახლა თბილისის ზოგიერთი სანახის წარსული სახელი თუ გაგვახსენებს. იოვიკ ნახშირგორა, სადაც უწყალოდ გაჩეხილ ტყეებს ნახშირად სწვავდნენ.

თბილისის მიდამოები გაალამაზა და დედაქალაქის ჰავა გააუჯობესა ავრეთვე თბილისის ზღვის, კუს ტბისა და ლისის ტბის მიდამოების გამწვანებამ. ახლახან თბილისის ზღვასთან 250 ჰექტარზე გაშენდა ტყე-პარკი, აქ დარგეს და გაახარეს 300-ზე მეტი ჯიშის 600 ათასი ხე და ბუჩქი. ეს პარკი თანდათან არა მარტო მშრომელთა დასასვენებელ ადგილად, არამედ კეკლასიის მდიდარი ფლორის შესწავლის შესანიშნავ კერადაც ხდება. უკანასკნელ წლებში ტყე-პარკები გაშენდა ავრეთვე საქართველოს მრავალ სოფელსა თუ ქალაქში.

ქების და მადლობის ღირსია ის სოფელი თუ ქალაქი, სადაც შინმოუსვლელთა ხსოვნა ახალი ხეივნებითა და ტყე-პარკებით აღნიშნეს.

აღსანიშნავია მტერთა შემოსევებისაგან განადგურებული ჭალის ტყეების აღდგენის საქმეც. მარტო ბახტრიონის ძველ ციხე-ბურჯებთან, ალაზნის პირად, გაშენდა 500 ჰექტარი ჭალის ტყე. ავრეთვე ოთხი ათას ჰექტარზე აღდგა და გაშენდა ჭალის ტყეები ქსნის, ლიახვის, იორის, რიონისა და მაშავერას ხეობებში.

ბუნების დაცვის საშვილიშვილო საქმეში ჩაებნენ საქართველოს კომკავშირელები, მოსწავლე ახალგაზრდობა. გასული წლის დეკემბერში საქართველოს ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნა „ტყისა და გარეულ ცხოველთა ძეგრფასი სახეობების დაცვის რესპუბლიკური ტაბა“, საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის თავმჯდომარეობით.

ახალგაზრდობამ წარმატებით ჩაატარა „ტყისა და ბაღის ერთთვიური“. რესპუბლიკის პიონერები აქტიურად მონაწილეობენ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის მიერ ნაძვნარის დასაცავად გამოცხადებულ ლაშქრობაში. ბორჯომელი მოსწავლეების მოსაწონ თაოსნობას გამოეხმაურა რესპუბლიკის ბევრი პიონერი. მათ დაამზადეს და ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობებს ჩაუტანეს ბუდეები იმ ფრინველებისა, რომლებიც ლაფანჭამიას ანადგურებენ.

ბევრი რამ კეთდება მინდორსაფარი და ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად. თვალს ახარებს თბილისიდან წითელწყარომდე და თბილისიდან ტაბისკარამდე გაშენებული ქარსაფარი ზოლები. საქართველოს გზების საგრძნობი ნაწილი გამწვანდა ხეხილითა და დეკორატიული ნარგავებით.

ამხანაგო დეპუტატებო! ბუნების დაცვის კანონის მიღებამ, როგორც იტყვიან, სულზე მოუსწრო ადამიანს, გარეული და მინაური მტრებით თუ ჩვენი დაუფიქრებით იავარქმნილ საქართველოს ბუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ მესამე სესიაზე, როდესაც განვიხილავდით ჩვენი კომისიის — ბუნების დაცვის კომისიის მუშაობის ანგარიშს, ვერ მივიღეთ ზოგიერთი ეტაპის მიერ წამოყენებული წინადადება — 3-4 წლით დავსვეფრთოთ თოფები, 3-4 წლით აკრძალოთო ყოველგვარი ნადირობა, დიახ, მიუხედავად ამისა, როგორც მოხსენებაშიც იყო ნათქვამი, მოიწრავლდა ნადირ-ფრინველი ჩვენს ნაკრძალებში, აღკვეთილებში, სანადირო თუ მიწერილ მეურნეობებში, ჭალებში, ტყეებსა თუ შინდვრებში.

უკვე შესამჩნევია ფრინველის, განსაკუთრებით ხოხბის ნაკრძალთა გარეთ განსახლება.

სესიის მინდა მოგახსენო, რომ საქართველოს ბუნების მოვლა-პატრონობის საქმეს მთელი მონდომებით ეშსახურება უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისია. კომისიის წევრები სისტემატურად განიხილავენ ბუნების დაცვის აქტუალურ საკითხებს, სახალხო კონტროლულ ღონისძიებებს, გამოდიან ჩვენი რესპუბლიკისა თუ საკავშირო პრესის ფურცლებზე.

ბევრი რამ ეკეთებოდა ბინდორსაფარი ზოლების გასაშენებლად. ეს ეხება ბინდორ-ბინდორ ბინდორ-ბინდორ ბინდორ-ბინდორ ბინ-ბინ-ბინ-

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ბ. ქარანაძის მოხსენება

ამხანაგნო დეპუტატებო! თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილია „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტი".

გასაგებია, თუ რაოდენ დიდია ამ კანონპროექტის მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებისათვის, თვითეული მისი წევრისათვის. ქორწინებისა და ოჯახისაგან წარმოშობილი ურთიერთობის სახელმწიფოებრივი რეგულირება არსებითად ყველასა და თვითეულს ეხება. ოჯახი ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი უჯრედია, რომელიც პიროვნებისა და საზოგადო ინტერესების ერთიანობაშია აგებული.

ბედნიერ და საინტერესო ცხოვრებას ქმნის არა მარტო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, არამედ შეჯობრეული, მყარი ოჯახიც, რომელიც დაფუძნებულია ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით საქორწინო კავშირზე, ოჯახის წევრთა ურთიერთ პატივისცემის გრძნობაზე.

შემთხვევითი როდია, რომ სოციალისტური სახელმწიფოს პირველი კოდექსი — ეს იყო კოდექსი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ. მას საფუძვლად დაედო დიდი ლენინის მიერ შემუშავებული დებულებანი ახალი საოჯახო ურთიერთობების შესახებ.

საქართველოს სსრ ამჟამად მოქმედი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი მიღებულ იქნა 1930 წელს. მას შემდეგ 40 წელი გავიდა. ძირეული ცვლილებები განხორციელდა ამ ხნის მანძილზე ჩვენმა საზოგადოებამ. მოქმედი კოდექსი შესაბამისად ჩამორჩა ცხოვრების წინსვლას, მოძველდა, აუცილებელი გახდა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა, მისი მოყვანა საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

1968 წლის 27 ივლისს სსრ კავშირის მე-7 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-4 სესიამ მიიღო ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კანონმდებლობის საფუძვლები, რომლებიც სოციალისტური საოჯახო სამართლის ისტორიულ, ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენენ.

საფუძვლებმა არა მარტო დაადგინეს საოჯახო სამართლის ზოგადი პრინციპები, არამედ აგრეთვე უშუალოდ მოაწესრიგეს ის საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ერთგვაროვან გადაწყვეტას მოითხოვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტი მომზადდა საფუძვლების შესაბამისად და მასში ნათელი ასახვა ჰპოვა საბჭოთა საოჯახო სამართლის ორგვეროვნა პრინციპმა — თანასწორუფლებიანობამ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობაში, ოჯახის განმტკიცებისა და დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვის იდეამ.

კანონპროექტის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფართო საზოგადოებრივობამ, მშრომელებმა, სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებმა. შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით პროექტი არაერთგზის გადამუშავდა. იგი ყოველმხრივ იქნა განხილული ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლებისა და მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის და სოციალური უზრუნველყოფის შუდმივ კომისიებში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდნენ საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიაში, დღეს კი წარმოდგენილია თქვენს წინაშე, რათა თქვენნი უმაღლესი რწმენებით მისცეთ მას საბოლოო სახე და კანონის ძალა.

ნება მომეცით მოკახსენოთ კოდექსის პროექტის ზოგიერთი ძირითადი დებულების შესახებ.

პროექტის პირველ კარში განსაზღვრულია საქორწინო და საოჯახო კოდექსის ამოცანები, ასახულია საოჯახო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი პრინციპები — საოჯახო ურთიერთობები ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა განურჩევლად ეროვნებისა, რასისა და რელიგიისადმი დამოკიდებულებისა, დედობის დაცვა და მრავალშვილიანობის წახალისება.

მხოლოდ სახელმწიფო ახდენს საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას და აღიარებულად მიიჩნევა მარტოოდენ ის ქორწინება, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში.

მამაკაცისა და ქალის ფიზიკური ფიზიკო-ქიმიური კავშირი ჯერ კიდევ როდი წარმოშობს რაიმე უფლებებსა და მოვალეობებს. ქორწინების რეგისტრაციით იწყება ქალისა და მამაკაცის ამ ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება.

მეტად მნიშვნელოვანია პროექტის მეორე კარი. იგი ეძღვნება დაქორწინების წესებს და პირობებს, მეუღლთა უფლებებსა და მოვალეობებს, მასში თავმოყრილია ნორმები ქორწინების შეწყვეტის (განქორწინების) და ბათილად ცნობის შედეგების თაობაზე.

როგორც ქალებისათვის, ისე კაცებისათვის პროექტი ერთიანს საქორწინო ასაკს — 18 წელს ითვალისწინებს, იმ ასაკს, რომლის მიღწევის შედეგ დგება სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობა.

„საფუძვლების" მე-10 მუხლის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუძლია საქორწინო ასაკის შემცირება, მაგრამ არა უმეტეს ორი წლით. როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს სს რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მხოლოდ ქალის საქორწინო ასაკის ერთ წლამდე შემცირება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის ნებართვით. კოდექსის პროექტმა გათვალისწინა საქორწინო ასაკის შემცირება არა უმეტეს, ვიდრე ერთი წლით როგორც ქალისათვის, ისე კაცისათვის. კანონი ამ კონიერ გამონაკლისს უშვებს ფაქტიურად უკვე შექმნილი ოჯახის შენარჩუნების, ბავშვების ინტერესების დაცვის, ან სხვა საპატიო მიზეზების არსებობისას.

ნაზარეული და დაუფიქრებელი ქორწინების თავიდან აცილების მიზნით პროექტის მე-16 მუხლი ადგენს წესს, რომლის თანახმად ქორწინების რეგისტრაცია ხდება არა უადრეს ერთი თვის გასვლისა განცხადების შეტანის დღიდან.

ცალკეულ შემთხვევებში, თუ არსებობს საპატიო მიზეზი, ეს ვადა შეიძლება შემცირებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მიერ.

ოჯახის შექმნა ცხოვრებაში ჯადოგმული დიდი ნაბიჯია. ის სერიოზულ მოვალეობას აკისრებს მხარეებს. ამიტომ, დადგენილი ვადის განმავლობაში მათ აძლევთან შესაძლებლობა ერთხელ კიდევ აწონ-დაწონონ თავიანთი გადაწყვეტილება. განცხადების შემტანთ შეუძლიათ უარი თქვან ქორწინების რეგისტრაციაზე. განცხადების შეტანა არ წარმოშობს დაქორწინების ვალდებულებას.

ქორწინება მარტოოდენ ფორმალური, გარეგნული აქტი როდია. ეს ჯანლაგი საზეიმო აქტი მექორწინეთა კავშირის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცნობისა, ერთობლივი ცხოვრების დალოცვისა, მომავალ მეუღლეთა და მშობლთა უფლებებისა და მოვალეობების დაფუძნებისა. ამიტომ კოდექსის პროექტი ადგენს, რომ მმაწის ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებაში ჩატარება მექორწინეთა თანხმობის დროს. ამით საბოჭალაქო ქორწინება უდავოდ უნდა ვაქციოთ წყვილის ცხოვრებაში მეტად ნათელ და დაუვიწყარ მომენტად. ამისათვის მომავალში უნდა შეგიმუშაოთ წესი, რომელიც განსხვავებულ ნიუანსებს გათვალისწინებს, რათა მექორწინეთა სურვილით არ წაერთვას საქორწინო ზეიმს ინტიმურობის ელემენტი.

კანონპროექტის მე-18 მუხლი მიუთითებს იმ დამაბრკოლებელ გარემოებებზე, რომელთა არსებობის დროს დაქორწინება არ დაიშვება.

საბჭოთა საოჯახო სამართალი განუხრელად იცავს მონოგამიის — ერთქორწინების პრინციპს, ამიტომ არ შეუძლიათ დაქორწინება პირებს, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან.

ნათესაობა სისხლითი კავშირია პირებს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან — პაპა, მამა, ბაბა, ბეიერი და ა. შ. (პირდაპირი ნათესაობა) ან ერთი წინაპრისაგან — და, ძმა და ა. შ. (გვერდითი ნათესაობა) — არიან წარმოშობილნი. კოდექსის პროექტით არ შეუძლიათ დაქორწინება პირდაპირი ალმავალი და დადმავალი ხაზის ნათესავებს, ღვიძლ და არაღვიძლ ძმებსა და დებს.

შეიძლ ბავშვის ფოლ წარმოშობილი ურთიერთობა საბჭოთა კანონმდებლობის მისეულ ვითარებაში ბავშვებს შორის არსებულ ურთიერთობასთან. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ აკრძალულია ქორწინება მშვილებლებსა და ნაშვილებთა შორის.

მოქალაქეს, რომელიც ქორწინდება, უნდა ჰქონდეს უნარი თავისი მოქმედებით შეიძინოს საოჯახო სამართლებრივი უფლებანი და იკისროს საოჯახო სამართლებრივი მოვალეობანი. ამიტომ არაქმედუნარიან პირებს არ შეუძლიათ დაქორწინება.

კოდექსის პროექტში გარკვევით არის გამიჯნული მეუღლეთა პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლება-მოვალეობანი. მეუღლენი ოჯახში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, მათ ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი, თვითეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საქმიანობა, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი. კანონპროექტით აგრეთვე აღდგენილია ჩვენს რესპუბლიკაში 1956 წლამდე მოქმედი წესი მეუღლეთა მიერ ორმაგი გვარის არჩევის შესახებ.

პროექტში დეტალიზებულია საფუძვლების ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობას. ქორწინებამდელი ქონება მეუღლეთა პირად განცალკევებულ ქონებად რჩება დაქორწინების შემდეგაც და დაქორწინება არც ერთი მათგანისათვის არ წარმოშობს რაიმე უფლებებს ამ ქონებაზე.

ამავე დროს ქონება, რომელიც მეუღლეებმა დაქორწინების შემდეგ შეიძინეს, საერთო თანასაკუთრებას წარმოადგენს.

პროექტმა გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ვინაიდან მეუღლეებს, გარდა საერთო თანასაკუთრებისა, თითქმის ყოველთვის აქვთ პროფესიული მოხმარების საგნები, ქონების გაყოფის დროს ისინი გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის ესაჭიროება.

პატივცემულო დეპუტატებო! გვინდა თქვენი ყურადღება საგანგებოდ მივაქციოთ განსახილველად გამოტანილ აქტში ფიქსირებულ იმ დებულებას, რომელიც მკაფიოდ ავლენს მამაკაცისა და ქალის სრულ თანასწორუფლებიანობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თანახმად ამ დებულებისა ქალის (მეუღლის) მიერ ბავშვების აღზრდისა და საოჯახო მეურნეობის წარმოებისათვის დახარჯული შრომა გათანაბრებულია მამაკაცის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან წარმოებაში. „მეუღლეებს თანაბარი უფლება აქვთ, ნათქვამია პროექტში, ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი უწყოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი".

შვილების აღზრდა და ამ მიზნით ოჯახში შრომა მშობლის უწმინდესი მოვალეობაა და ეს შრომა კანონმა სამართლიანად გაუთანაბრა ყოველგვარ სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

საპენსიალური მუხლები ეძღვნება მეუღლეთა ურთიერთ რჩენის საკითხს. ალიმენტის მიღების უფლება აქვს მხოლოდ შრომისუუნარო მეუღლეს, რომელსაც მატერიალური დახმარება ესაჭიროება და იმ პირობით, თუ მეორე მეუღლეს შეუძლია მისი მიცემა. ალიმენტის მიღების უფლებას მეუღლე ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, ოღონდ იმ პირობით, თუ ის შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.

უმართებულო იქნებოდა იმ მეუღლის აუცილებელი დახმარების გარეშე დატოვება, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ოჯახს, ბავშვების აღზრდას და რომელსაც ამის გამო არა აქვს სახელმწიფოსაგან პენსიის მისაღებად აუცილებელი შრომითი სტაჟი. ამისათვის ის, ვინც მრავალი წლის განმავლობაში სარგებლობდა თავისი მეუღლის შრომითა და ზრუნვით, მოვალეა უზრუნველყოს თავისი ყოფილი მეუღლე ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობებით.

საბჭოთა კანონმდებლობას არ შეუძლია უარი თქვას განქორწინებაზე, რაც ეს მეუღლეთა შორის შექმნილი შეურიგებელი ურთიერთობიდან ერთადერთი გამოსავალი და დაშვებული შეცდომის გასწორების ერთადერთი გზაა. ამასთან განქორწინების უფლება სრულიადაც არ უნდა აკრიოთ თვითნებობაში, თავაშვებულობაში. განქორწინების მიზეზები ყოველთვის კონკრეტულია. ის, რაც ერთ შემთხვევაში და ერთი ოჯახისათვის განქორწინების მიზეზია, არ არის ასეთი სხვა შემთხვევისა და სხვა ოჯახისათვის. ამიტომაც კოდექსის პროექტი არ იძლევა განქორწინების კონკრეტული საფუძვლების კაზუისტიკურ ჩამოთვლას. იგი აღგენს განქორწინების ზოგად კრიტერიუმს, რაც განქორწინების გამარტივებისათვის კი არ ფარავს შემოღებული, არამედ იმისათვის, რომ სასამართლო კონკრეტულად მიუდგეს თვითეულ შემთხვევას საქმის ყველა გარემოების მაქსიმალურად გათვალისწინებით.

ზოგჯერ დროებითი განაწყენიანებისა და წუთიერი აღელვების გავლენით მოითხოვენ ოჯახის დაშლას, ზოგჯერ კი განქორწინებისათვის არასერიოზულ მიზეზებს ასახელებენ: (ცუდი დიასახლისია, თეატრი არ უყვარს, მხოლოდ სტადიონი არის გატაცებულიო და სხვ). გასაგებია რომ ამ დროს მტკიცედ დიდია მხარეთა შერიგებისათვის სასამართლოს როლი.

მაგრამ, როცა ლადგინდება, რომ მეუღლეთა შერიგება და ერთად ცხოვრება შეუძლებელია, სასამართლომ უნდა მოახდინოს განქორწინება.

ბავშვებისა და დედის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დადგენილია, რომ ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ბავშვის მამას უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის უქონლად აღძრას საქმე განქორწინების თაობაზე.

განქორწინების საქმის განხილვისას სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ვადა — არაუმეტეს 6 თვისა — მეუღლეთა შერიგებისათვის. ეს ვადა დადგენილია იმისათვის, რომ მეუღლეებმა ერთხელ კიდევ მოიფიქრონ თავიანთი ვადაწყვეტილების საფუძვლიანობა, მისი საბოლოო ხასიათი.

კანონპროექტი, რომელიც თქვენს ხელთ არის, ითვალისწინებს განქორწინებას როგორც სასამართლო წესით, ისე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს მეშვეობით.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები განქორწინებენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ არასრულწლოვანი შვილები და ორივე გამოთქვამს განქორწინების სურვილს. მმაწის ორგანოში ხდება აგრეთვე იმ პირთან განქორწინება, რომელიც კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად ან არაქმედუნარიანად, ან მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთის ვადით არანაკლებ სამი წლისა.

პროექტში სათანადო ადგილი დათმობილი აქვს ქორწინების ბათილობის შედეგებს. ბათილად ცნობილი ქორწინება არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მაგრამ ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე.

კოდექსის პროექტის მესამე კარის ნორმები მიძღვნილია ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის ძირითადი საკითხისადმი — მშობლებსა და ბავშვებს შორის წარმოშობილი ურთიერთობისადმი. საკანონმდებლო ნოველას წარმოადგენენ ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ მშობლებისაგან ბავშვის წარმოშობის დადგენის წესს.

საფუძვლებმა გაითვალისწინეს მამობის აღიარების შესაძლებლობა დაუქორწინებელი მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში.

არის ცხოვრებისეული შემთხვევები, როცა ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილის მამობას ნებაყოფლობით აღიარებს პირი. ამ დროს კანონი არ მოითხოვს აუცილებელ პირობად მამის დაქორწინებას ბავშვის დედასთან. „საფუძვლების" მიერ ამ წესის შემოღება საესებით გამართლებულია. ამასთან ერთად პროექტი ითვალისწინებს მამობის დადგენის სასამართლოს წესს.

ამ დროს სასამართლო არ გამოდის როგორც ეს 1944 წლის 8 ივლისამდე იყო, გაურკვეველი პრინციპიდან, რომ „ვინმე უნდა იყოს ბავშვის მამა", არამედ, პროექტის 51 მუხლის თანახმად, მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდას და. რჩენას.

მშობლების ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით მამობის დადგენისას ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობანი, როგორც ქორწინებაში მყოფ პირთაგან დაბადებულ ბავშვებს.

პროექტი ადგენს დედისა და მამის აბსოლუტურად თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს შვილების მიმართ.

დეპუტატები უეჭველ დაგვეთანხმებიან, რომ ღრმა ჰუმანიზმით ნაკარნახევია წესი, რომელიც არა მარტო ცალკე მცხოვრებ მშობლებს, არამედ აგრეთვე პაპასა და ბებიას აძლევს უფლებას ურთიერთობა იქონიონ შვილთან და შვილიშვილთან, მონაწილეობა მიიღონ მის აღზრდაში. ამიერიდან ეს უფლება სასამართლო წესით არის დაცული. ასეთი წესის შემოღება, ვფიქრობთ, საფუძვლიანად გამართლებულია.

განსა იშვიათია შემთხვევა, როცა მშობელი, მაგალითად, დედა, რომელთანაც დარჩა შვილი აღსაზრდელად არ აძლევს უფლებას მამას ანდა უკანასკნელის მშობლებს ინახულონ შვილი და შვილიშვილი, როცა ამგვარი ნახვა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის სწორად აღზრდის ინტერესებს.

საფუძვლების შესაბამისად პროექტით გათვალისწინებულია, მშობლის უფლების ჩამორთმევა თუ მშობლები არ ასრულებენ ან ბოროტად იყენებენ ამ უფლებებს, თავიანთი ყოფაქცევით მავნე გავლენას ახდენენ შვილებზე. მშობლის უფლებათა ჩამორთმევა ან მშობლის უფლებაში აღდგენა მხოლოდ სასამართლო წესით შეიძლება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1970 წლის 15 იანვრის გრანდებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტი გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

ამ ბრძანებულების დამტკიცებასთან ერთად საჭიროა შეტანილ იქნას დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობა.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სხვა ბრძანებულებანი, რომლებითაც ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა მოქმედ კანონმდებლობაში.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ" სსრ კავშირის 1969 წლის 11 ივლისის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 29 აპრილს მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ".

ეს ცვლილებები და დამატებები გამოიხატება შემდეგში: ახალი რედაქციით არის ჩამოყალიბებული კოდექსის 25-ე მუხლი, რომელიც შეეხება ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილის სახისა და რეჟიმის განსაზღვრას. ღღემდე ეს საკითხი სისხლის სამართლის კოდექსში ასე სრულყოფილად არ იყო გადაწყვეტილი და პრაქტიკული მუშაკები სასჯელის განსაზღვრისას ხელმძღვანელობდნენ დებულებებით, ინსტრუქციებითა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შესაბამისი განმარტებებით. ახალი რედაქციია კი ამომწურავად წყვეტს ამ საკითხს.

მაგალითად, მამრობითი სქესის არასრულწლოვან დამნაშავეთათვის ადრე დაწესებული იყო მხოლოდ ერთი სახის (საერთო) რეჟიმის კოლონია. ბრძანებულება ითვალისწინებს მათს მოთავსებას აგრეთვე გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში. ამასთან მოცემულია წესსა იმ დანაშაულებებისა, რომელთა ჩადენისათვის სასამართლოს უფლება ეძლევა მოთავსოს არასრულწლოვანი ამ სახის კოლონიაში.

ორი სახის კოლონიაა დაწესებული აგრეთვე დამნაშავე ქალებისთვისაც. ქალები, რომელნიც აღიარებული არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად და მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-ე-74-ე მუხლებით), მოთავსდებიან ცალკე — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში; თავისუფლების აღკვეთით სხვა მსჯავრდებული ქალები — საერთო რეჟიმის კოლონიებში.

კოდექსს დაემატა ახალი 25[1] მუხლი, რომელიც მეიცავს მძიმე დანაშაულთა ნუსხას. ადრე არსებული ნუსხისაგან განსხვავებით მასში დამატებით შეტანილია ისეთი სახის დანაშაულობანი, როგორიც არის: ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის ან გაწყვნილების ბუდის მოწყობა (230-ე მუხლის პირველი ნაწილი), ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ ნივთიერებათა გატაცება (მუხლი 252[1]), ხანდახან ან ინდური, სამხრეთ მანჯურიის და სამხრეთ ჩუბის კანაფის დათესვა (მუხლი 253-ე).

ცვლილებებია შეტანილი კოდექსის 28-ე მუხლში. ამ მუხლის ადრე მოქმედი რედაქციის თანახმად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის დრო არ ითვლებოდა შრომის საერთო სტაჟში.

ბრძანებულება კი ითვალისწინებს, რომ თუ თავისუფლების აღკვეთილად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის პერიოდში მსჯავრდებული ეკეთილსინდისიერად მუშაობდა და სანიმუშოდ იქცეოდა, სასამართლოს შეუძლია, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით, გამასწორებელი სამუშაოების მოხდის დრო ჩაუთვალოს მას შრომის საერთო სტაჟში.

ამავე დროს საგრძნობლად გაძლიერდა იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს ამ სახის სასჯელის მოხდას.

ადრე მოქმედი მუხლის რედაქციით ასეთ პირებს გამასწორებელი სამუშაოების შეიძლებოდა შეცვლოდათ თავისუფლების აღკვეთით შემდეგი გამონაგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოების ყოველი სამი მოუხდელი დღის ნაცვლად — ერთი დღის თავისუფლების აღკვეთა. ახლა სასამართლო შეუძლია ასეთ პირს გამასწორებელი სამუშაოების მოუხდელი ვადა შეუცვალოს თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მსჯავრდებულის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის განმსაზღვრელი მუხლი. საგულისხმოა, რომ სსრ კავშირის 1969 წლის 11 ივლისის ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, კოდექსის 44-ე მუხლში მოცემულია იმ დანაშაულთა ნუსხა, რომელთა განმეორებით ჩადენა გამოიწვევს პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად აღიარებას, თუ მას ახალი დანაშაულისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ ხუთი წლისა. იქვე დასასრულებულია დანაშაულობანი, რომელთა ორჯერ ჩადენის შემდეგ პირი ცნობილი იქნება განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, თუ მას ზესამეჯერ ესჯება თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წელზე ნაკლებ. ახეთე ჩამოთვლილია სხვა დანაშაულობანიც, რომელთა ჩადენა, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამოიწვევს პირის საშიშ რეციდივისტად ცნობას.

ამავე მუხლში შეტანილია აგრეთვე ზოგიერთი ახალი დებულებებიც, მაგალითად:

ნასამართლობის მოხსნის შემთხვევაში შეიძლება გაუქმებულ იქნას მსჯავრდებულის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად აღიარება.

როგორც საკავშირო კანონის, ისე ჩვენი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, გამოცემული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი, დადგენილი წესით, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად უკვე ცნობილი იყო უკანასკნელი დანაშაულის ჩადენამდე.

კოდექსის 46-ე მუხლის პირველ და მეოთხე ნაწილებში შეტანილი ცვლილებებით დაზუსტებულია, თუ რა სახის ახალად ჩადენილი დანაშაულისათვის ემატება შეფარდებული სასჯელი (მთლიანად ან ნაწილობრივ) პირობით გამოუყენებელ სასჯელს.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კოდექსის 54-ე მუხლი, ამასთან კოდექსს დაემატა 54[1] მუხლი.

პირველი ითვალისწინებს პირობებს, რომელთა მიხედვით ხდება ვადამდე პირობით განთავისუფლება ან სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, ხოლო მეორეში მოცემულია შემთხვევები, როცა სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას.

ახლებურად გადაწყვეტილია მსჯავრდებულის ვადამდე პირობით განთავისუფლებლად წარდგენის წესი. თანახმად ამ წესისა, სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებას ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლას სასამართლო გამოიყენებს სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის სისრულეში მომყვანი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საქმეთა ველური კომისიის ერთობლივი წარდგინებით; სოფლ იმ პირის მიმართ, რომელიც სასჯელს ისდის სადისციპლინო ბატალიონში — სადისციპლინო ბატალიონის მეთაურის წარდგინებით.

რაც შეეხება 54[1] მუხლს, იგი ითვალისწინებს იმ მძიმე დანაშაულთა ნუსხას, რომელთა ჩადენ პირზე ვადამდე პირობით განთავისუფლება არ ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ ამ ნუსხას მიეთქმა მძიმე დანაშაულთა ისეთი სახეები, როგორიც არის: ყაჩაღობა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამაძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილი) განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა (228-ე მუხლის მესამე ნაწილი), ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის ან გაწყვნილების ბუდის მოწყობა (230-ე მუხლის პირველი ნაწილი), ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ ნივთიერებათა გატაცება (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები) და ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ ნივთიერებათა გატაცება (მუხლი 252[1]), ხანდახან ან ინდური, სამხრეთ მანჯურიის და სამხრეთ ჩუბის კანაფის დათესვა (მუხლი 253-ე).

ცვლილებებია შეტანილი კოდექსის 57-ე მუხლშიც. ამ მუხლის მეცხრე პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს ნასამართლობის მოხსნას პირთათვის, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, დაემატა მითითება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ნასამართლობა მოეხსნას განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილ პირსაც, თუ ის 8 წლის განმავლობაში სასჯელის მოხდის დღიდან არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და სასამართლო დაადგენს, რომ მსჯავრდებული გამისწორდა და საჭირო აღარ არის მიჩნეულ იქნას ნასამართლობის მქონედ.

გარდა ამისა, შეიცვალა ამავე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების რედაქცია და მას დაემატა მეხუთე ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ნასამართლობის მოხსნის ვადების გამოთვლის წესს იმ შემთხვევებში, როდესაც ნასამართლობის მოხსნამდე ან ვადის გასვლამდე პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

1970 წლის 14 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ". ამ ბრძანებულებით გაძლიერდა პასუხისმგებლობა სისტემატური მაწანწალობისა ან მათხოვრობისათვის და ამასთან დაკავშირებით შეეცვალა 234-ე მუხლის რედაქცია. დადგინდა, რომ ასეთი ქმედობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვსი თვიდან წლამდე, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო მაწანწალობისა ან მათხოვრობისათვის, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ამასთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი — 234[1] მუხლი, რომლის შესაბამისად პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტისა და შრომაში ჩაბმის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ამ ბრძანებულებით ადგენს, ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედობა ისჯება ოთხ წლამდე.

ამასთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი — 234[1] მუხლი, რომლის შესაბამისად პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტისა და შრომაში ჩაბმის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება ამ პირის მიერ, რომელიც ადრე ამ ბრძანებულებით ადგენს, ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედობა ისჯება ოთხ წლამდე.

ამავე მუხლში შეტანილია აგრეთვე ზოგიერთი ახალი დებულებებიც, მაგალითად:

ნას

მსოფლიო დღეს

„იუმანიურ“ საბჭოთა პავილიონი ყველაზე პოპულარულია

ტოკიო, 17 ივნისი. (საკდესი). ოსაკაში გამართულ მსოფლიო გამოფენა „ექსპო-70“-ზე სსრ კავშირის პავილიონი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს დამთვალიერებელთა შორის, წერს გაზეთი „იუმანიური“. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს „ექსპო-70“-ზე უცხოელთა გამოკითხვის მონაცემები.

გამოკითხეს 73 ქვეყნის 1840 დამთვალიერებელი. გამოკითხვის დროს პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა პავილიონმა. 474 კაცმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის პავილიონი საუკეთესოა გამოფენაზე. მეორე და მესამე ადგილები (213 ხმა) გაინაწილეს იაპონიის სახელმწიფო პავილიონმა და იაპონიის „მიცუბისის“ კომპანიის პავილიონმა. ამერიკის შეერთებული შტატების პავილიონმა პოპულარობით დაიკავა მეოთხე ადგილი (198 ხმა). საფრანგეთის, ინგლისის, ინდოეთის, ფილიპინების, მექსიკის, ახალი ზელანდიის გამოკითხულ წარმომადგენელთა უმრავლესობამ თავიანთი ქვეყნების პავილიონებს ამჯობინა სსრ კავშირის პავილიონი.

საბჭოთა პავილიონი, წერს „იუმანიური“, ალბათ იმიტომ სარგებლობს დიდი პოპულარობით, რომ მასში შინაარსიანადაა ასახული საბჭოთა კავშირის კულტურა, ხელოვნება და მეცნიერება.

ნიქსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 18 ივნისი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა რადიოთი და ტელევიზიით გაკეთა განცხადება ამერიკის ეკონომიკის პრობლემების შესახებ.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განიცდის „ეკონომიურ სიძნელეებს“. „უმუშევრობა გადიდდა, ფასების დონე სულ უფრო მაღლა იწევს, აქციების კურსი ბირჟაზე დაეცა, პროცენტული განაკვეთები ძალიან მაღალია“, — განაცხადა მან.

ნიქსონმა დაადასტურა, რომ მთავრობის მიერ ინფლაციის ასაღებად მიღებულ ღონისძიებებს არ მოჰყოლია სასურველი შედეგი. „ინფლაციის მოქმედება, რომელიც 4 წელიწადია გრძელდება, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ“, — თქვა პრეზიდენტმა.

მისი სიტყვით, შეერთებული შტატების წინაშე დგას ამოცანა „თავიდან აიცილოს დაქვეითება და ამავე დროს ბოლო მოუღოს ძლიერ ინფლაციას“. ქვეყნის წინაშე, თქვა მან, დასმულია „ცნელი პრობლემები“.

ნიქსონი ცდილობდა სიძნელეების გამო, რომელსაც ამერიკის ეკონომიკა განიცდის, ბრალი დაეკისრებინა თავისი წინამორბედთა პოლიტიკისათვის. მისი განცხადებით, ფედერალური ბიუჯეტების დეფიციტმა სამოციანი წლების განმავლობაში შეადგინა 57 მილიარდი დოლარი და ამერიკელმა მომხმარებელმა ფასების მომატებით ზღვეს.

როგორც ამერიკის პრესა და ქვეყნის ბევრი მოღვაწე აღნიშნავენ, შეერთებული შტატების ახლანდელ ეკონომიურ სიძნელეებს საფუძვლად უდევს უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა ამერიკის აგრესიასთან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

მაგრამ ნიქსონი თავის გამოსვლაში იცავდა მთავრობის ამ კურსს. იგი ცდილობდა გაემართლებინა ამერიკის ჯარების შეჭრა კამბოჯაში.

პრეზიდენტი ამაე დროს ცდილობდა შეენელებინა ამერიკელთა მზარდი შეშფოთება, რომლებსაც აუწუხებთ ამ პოლიტიკის შედეგები. მაგრამ არსებითად მათ არ დაუსახავთ რაიმე კონკრეტული ღონისძიება მთავრობის მილიტარისტული პოლიტიკით გამოწვეული ამ ეკონომიური სიძნელეების დასაძლევად. უფრო მეტიც, როგორც პრეზიდენტის განცხადებიდან ჩანს, მთავრობა აპირებს ინფლაციასთან ბრძოლის ალმით დაიწყოს ახალი შეტევა ამერიკის მშრომელთა ცხოვრების პირობებზე. ნიქსონმა მოუწოდა, მაგალითად, პროფკავშირებს გამოიჩინონ „თავშეკავება“ ხელფასის მომატების მოთხოვნებში.

საბჭოთა მსაჯიობების გასტროლები

კონაკრი, 18 ივნისი. (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქში დამთავრდა იმ საბჭოთა მსახიობების ჯგუფის გასტროლები, რომლებიც მოგზაურობენ ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში. დედაქალაქის მეცხოვრებლები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა მსახიობებს გამოსვლას. გვინეელ მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „დიელომ“ და მოსკოვცირტის მსახიობთა საესტრადო საცირკო ნომრებმა. გვინეაში გასტროლების დამთავრების შემდეგ საბჭოთა მსახიობები მალის რესპუბლიკაში გაეშგზავნენ.

◆

შენდება ატომური რეაქტორი

ვარშავა, 18 ივნისი. (საკდესი). დაბა სვერკეში ვარშავის ახლოს დაიწყო პოლონეთის მეორე ატომური რეაქტორის „მარიას“ მშენებლობა, რომელსაც ასე ეწოდა მ. სკლადოვსკა-კიურის სახსოვრად. პირველი რეაქტორი აიგო საბჭოთა კავშირის დახმარებით, ახალი რეაქტორი კი აშენდება პოლონელ მეცნიერთა და სპეციალისტთა ძალებით. იგი საშუალებას მისცემს მეცნიერებს აწარმოონ ფართო კვლევა ატომური ფიზიკის დარგში.

◆

შეჯახება ჰაერში

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საკდესი). ამერიკის „სრ-71“ ტიპის მზვერავი თვითმფრინავი გუშინ ჰაერში გაწყობის დროს შეეტაკა ტანკერ თვითმფრინავს და ელასოს (ტეხასის შტატი) აღმოსავლეთით 15 მილზე დავარდა. ორივე მანქანის პილოტები პარაშუტებით გადმოხტნენ. მფრინავები ოდნავ დაშავდნენ. ისინი ჰოსპიტალში წაიყვანეს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაშნლის საგაზეთო იუწყება, „სრ-71“ ტიპის მზვერავმა თვითმფრინავებმა შეცვალეს ცნობილი „უ-2“ ტიპის ჯაშუში თვითმფრინავები. გუშინდელი ავარია უკვე მეზუთე კატასტროფაა, რომელიც ამ ტიპის თვითმფრინავებს შეემთხვათ.

□ □

იაპონელი ოკეანეებში

ტოკიო, 17 ივნისი. (საკდესი). ხომეძის ნავსადგურიდან (იაპონიის აღმოსავლეთი სანაპირო) ხანგრძლივ საზღვაო მოგზაურობას შეუდგა ოთხი იაპონელი ჭაბუკი, რომლებსაც განზრახული აქვთ მიაღწიონ ამერიკას, შემდეგ კი ავსტრალიისა და აფრიკის ნაპირებს.

იახტა მოწყობილია რადიოპარატურით. მასზე არის წყლისა და სურსათის მარაგი 50 დღისათვის, ე. ი. ზუსტად იმ ვადისათვის, რომელიც, იაპონელ მოგზაურთა გამოანგარიშებით, საჭიროა იმისათვის რომ მიაღწიონ დანიშნულების პირველ პუნქტს — ამერიკის ქალაქ სიეტლს. შემდეგ გაბედული მეზღვაურები აპირებენ გადაკვეთონ წყნარი ოკეანე და მიაღწიონ ავსტრალიის ნაპირებს, ხოლო ავსტრალიიდან ინდოეთის ოკეანის გავლით ჩავიდნენ კეიპტაუნს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), საიდანაც კურსს აიღებენ პანამის არხისაკენ ატლანტის ოკეანის გავლით.

მოგზაურობა ორწელიწადნახევარს უნდა გაგრძელდეს. იაპონელი მოგზაურები გეგმავენ თავიანთ ხომეძის ნავსადგურში 1972 წლის დეკემბერში დაბრუნდნენ.

სამხრეთ იემენის საპროტესტო ნოტა

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთისა და საუდის არაბეთის თვითმფრინავები კვლავ არღვევენ სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ნათქვამია გერბალურ ნოტაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა მ. აბდულამ.

ეს ავოესული მოქმედება, რომელიც ბრიტანეთის თვითმფრინავები ახორციელებენ ბასკატისა და ომანის ბაზებზე საუდის არაბეთის თვითმფრინავებთან თანამოქმედებითა და კოორდინაციით, უხეშად არღვევს სამხრეთ იემენის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, ხაზგასმულია ნოტაში.

მთავრობის ნოტას დართული აქვს 27 იანვრიდან 25 მაისამდე პერიოდში ამ რესპუბლიკის საჰაერო სივრცის 16 დარღვევის სია.

ნახატი ფრანგულ ყოველკვირეულ „ფრანს ნუველიდან“

დაიწყო ფესვიანი ტური

ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრებმა გამოაცხადეს პიანისტთა და მევიოლინეთა შემოქმედებითი შეჯიბრების ფინალური ეტაპის მონაწილენი.

პიანისტთა ფინალურ ტურში გამოვლენ ბორის პეტრუშანსკი (სსრ კავშირი), ჰორაციო ბუტეირესი (ამერიკის შეერთებული შტატები), არკადი სეიდოვი (სსრ კავშირი), არტურ მორეირა-ლიმა (ბრაზილია), ვიქტორია პოსტნიკოვა, ვლადიმერ სელივანოვი (სსრ კავშირი), ჯეიმს ტოკო, პოლ რუტმანი (ამერიკის შეერთებული შტატები), იური სლესარევი (სსრ კავშირი), ჯონ ლილი (დიდი ბრიტანეთი), ვლადიმერ კრაინევი (სსრ კავშირი), ალბერტო რეიესი (ურუგვაი).

ასევე თორმეტი შუხეოსი განაგრძობს შეჯიბრებას მევიოლინეთა კონკურსის მესამე ტურში. ესენი არიან — ჯეფრი მაიკლსი (ავსტრალია), ტატიანა გრინდენკო (სსრ კავშირი), ვლენ დიქტეროვი (ამერიკის შეერთებული შტატები), ანდრეი ბოსტანი (რუმინეთი), მაუმი ფუძიკავა (იაპონია), პოლ როზენტალი (ამერიკის შეერთებული შტატები), ანდრია კორსაკოვი, ლიანა ისაკაძე, გიორგი კნელერი, ვლადიმერ სპივაკოვი (სსრ კავშირი), სტანკა ფელევა (ბულგარეთი), ედონ კრემერი (სსრ კავშირი).

დასკვნითი მოსმენა დაიწყო გუშინ, 18 ივნისს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. (საკდესის კორ.).

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, პატარა დაღესტნელებო!

დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ზომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. მაგრამ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული რაიონების მცხოვრებლები ყოველთვის გრძნობენ ერთიანად საბჭოთა ოჯახში მცხოვრები მოძმე ხალხების დიდ დახმარებას.

18 ივნისს თბილისში შეხვდნენ საქართველოში დასასვენებლად ჩამოსულ პატარა დაღესტნელებს. ლამაზად არის მორთული თბილისის ვაგზლის ბაქანი. აქ მოვიდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ნ. ვასაძე, საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ლოლაძე, განათლების სამინისტროსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტების მუშაკები, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელი მუშაკები, თბილისის კომკავშირული და პიონერული აქტივი.

მოძმე დაღესტნიდან საქართველოში ჩამოსულმა 300 ოქტომბრელმა და პიონერმა მაშინვე იგრძნო ქართველი მეგობრების სითბო, მზრუნველობა და სტუმართმოყვარეობა. რესპუბლიკის საუკეთესო კურორტების კოჯრის, კიკეთის, ბაზალეთის, ჩათახის, ფოლადაურის, კოდისთავისა და სხვა ადგილების 10 პიონერთა ბანაკი მთელი ზაფხულის მანძილზე მათ განკარგულებაში იქნება. ბავშვებს ელით სხვა სასეამოვნო საჩუქრებიც — მათ მოუმზადეს პიონერული ფორმები და ყველაფერი, რაც საჭიროა კარგი და მხიარული დასვენებისათვის.

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა პატარა დაღესტნელებო, კარგ დასვენებას გისურვებთ ქართულ მიწა-წყალზე.

(საკდესი).

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ, პიონერული ზაფხული. დადგა საინტერესო ლაშქრობების, დასვენების, გაკეთების დაუვიწყარი დღეები.

ფოტოერთიდან ბ. ჯაველისა.

გამარჯვებულს — „ქალღმერთი“ სამუდამოდ

მეხიკო, 18 ივნისი. (საკდესი). 21 ივნისს მეხიკოში ეიფელ რომეს თასის მე-9 გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ორგზის მსოფლიოს ჩემპიონები ფეხბურთში ბრაზილიისა და იტალიის გუნდები.

გვადალაჰარაში ნახევარფინალური მატჩში ბრაზილიელებმა დაამარცხეს ურუგვაელები ანგარიშით 3:1 (1:1). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს: კლოდოალდომ (45-ე წუთზე), ჟაირზინიომ (75-ე წუთზე), რიველინომ (89-ე წუთზე). საპასუხო ბურთი გაიტანა კუბილამ (მე-17 წუთზე).

120 წუთს გაგრძელდა მეხიკოში ევროპის ჩემპიონის იტალიის ნაკრების თამაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან. იტალიელებმა გაიმარჯვეს დამატებითს დროში — 4:3 (1:0, 1:1). იტალიელები წინ იყვნენ მატჩის დაწყებიდან მეორე ტაიმის ბოლომდე, მაგრამ ფინალურ სასტვენამდე 30 წამით ადრე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა გაათანაბრა ანგარიში. ბურთები გაიტანეს: იტალია — ბონინსენიამ (მე-7 წუთზე), ბურგნიჩმა (89-ე წუთზე), რივამ (104-ე წუთზე), რივერამ (112-ე წუთზე); გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — შნელინგერმა (90-ე წუთზე), მიულერმა (95-ე და 111-ე წუთზე).

როგორც ცნობილია, გუნდი, რომელიც სამჯერ გაიმარჯვებს მსოფლიოს პირველობაზე, სამუდამოდ მიიღებს „ოქროს ქალღმერთს“.

ჩემპიონატის ირგვლივ

„ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას სურს, რომ გაიმარჯვოს ბრაზილიის ნაკრებმა, ამიტომ გაგეგებინა გვადალაჰარაში სათამაშოდ“, — ასეთი ბრალდება წაუყენეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებმა ხუან კარლოს ბრაკამ და ვალდეს მორტიმერმა, როცა შეიტყეს, რომ მათი პროტესტი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილების გამო ურუგვაისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების ნახევარფინალური შეხვედრის ადგილის შესახებ უარყოფილია. „ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ, — განაგრძობენ ისინი, — ყველაზე მაღლა დააყენა არა სპორტული, არამედ მატერიალური ინტერესები. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შემდეგ სხდომაზე ჩვენ გავგზავნით არა ფეხბურთის სპეციალისტებს, არამედ ეკონომისტებს, მატჩზეც გამოვიყენეთ ბანკირთა გუნდს, იმიტომ რომ მხოლოდ ამგვარად შეიძლება იბრძოლო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წინააღმდეგ“.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩამდე ერთი დღით ადრე, 20 ივნისს „აცტეკას“ სტადიონზე გაიმართება შეხვედრა ფეხბურთში ევროპისა და ამერიკის უფრწალისტებს შორის. ამ მატჩის გამარჯვებულნი, რომელიც ამიერიდან ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება, მექსიკის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელებისაგან მიიღებენ სპეციალურ პრიზს.

ბუმბერაზნმა, რომელიც 106-ჯერ გამოვიდა ინგლისის ნაკრებში, ამით თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მექსიკის ტურიზმის დეპარტამენტმა ამ მოვლენის აღსანიშნავად ინგლისელ მოთამაშეს ვერცხლის ბუფეტი მიართვა.

„სამი წლის მზადება, ხარჯები, რომელიც 16 მილიონ მექსიკურ პესოს შეადგენს, პრივილეგია ვყოფილიყავით მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორნი — და ყოველივე ეს იმისათვის, რომ გავჩხირულიყავით მეოთხედფინალში, — ასე აჯამებს გაზეთი „დია“ მეცხრე ჩემპიონატზე მექსიკელ ფეხბურთელთა გამოსვლას. — მართალია, ჩვენ ვერასოროს ვერ ვახერხებდით დაგვეძლია მერვედფინალის ყველა დაბრკოლება, ახლა კი მეოთხედფინალში გავედით, ეს უკვე პროგრესია. ჩვენი ფეხბურთი ჯერ კიდევ ვერ შეიდრება მსოფლიოს საუკეთესო გუნდების თამაშს. სალვადორის გუნდზე ანგარიშით 4:0 გამარჯვების გამო განცდილი სიხარული გაზვიადებული და რეალობის საზღვრებს მოკლებული იყო.

ლამის 2 საათსა და 25 წუთზე მთელი რომი ფეხბურთელთა ქომაგნი — ტიფოზი იტალია-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მატჩის დამთავრებას შემდეგ, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „სკუადრა აძურას“, ქუჩებში გამოცვივდნენ, მალე ქალაქში გამოჩნდა მანქანების კავალკადები, რომლებიც მცირე ინტერვალებით ოთხ მკვეთრ სიგნალს იძლეოდნენ. (საკდესი).

სამი მსოფლიო რეკორდი

მოსკოვში მასობრივად ჭალაჭ ბოლოსკენ გაიმართა ძალოსანთა ასპარეზობა, რომელშიც სხვებთან ერთად გამოდიოდა პირველი მძიმე წონის შტანგისტი ვალერი იაკუბოვსკი. ამ შეჯიბრებაზე მან ჩინებული შედეგები აჩვენა — სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ვ. იაკუბოვსკიმ აჭიმა 190 კილოგრამი, აიტაცა 157,5 კილოგრამი, აკრა 205 კილოგრამი. სამჭიდის ჯამში აჩვენა 552,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წინანდელი რეკორდი, რომელიც საბჭოთა ძალოსან იან ტალტს ეკუთვნოდა, გაუმჯობესებულია 2,5 კილოგრამით.

აკვარაში 205 კილოგრამი ვ. იაკუბოვსკიმ აჩვენა პირველსავე ცდაზე. ამიტომ ამ მოძრაობაში მან გააგრძელა შეჯიბრება და მიაღწია 212,5 კილოგრამს. შტანგის აწონვისას გამოირკვა, რომ იგი იწონიდა 214 კილოგრამს, რაც 1,5 კილოგრამით აღემატებოდა იმავე ი. ტალტის წინანდელ რეკორდს. ამრიგად, სამჭიდში ვ. იაკუბოვსკიმ 560 კილოგრამი აჩვენა. ესეც ახალი რეკორდია.

მძლეოსნური სტარტები

გენტში გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა ინგლისელი მერი პიტერსი. მან მძლეოსნურ ხუთჭიდში ქალთა შორის 4.992 ქულა შეაგროვა და მუშიდროდ მიუახლოვდა ხუთთიათასიანთა ჯგუფს.

ბერლინში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ვ. ნორდვიკი (გდრ) ჭოკით სიმაღლეზე გადახტა 5 მეტრსა და 45 სანტიმეტრზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

„ა“ კლასის პირველ ჯგუფში

გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. მორიგი ტურის შეხვედრათა შედეგები ასეთია:

„სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:2, „პამირი“ (დუშანბე) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 1:1, „ალგა“ (ფრუნზე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:0, „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „კარპატი“ (ლვოვი) 1:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — სკა (კიევი) 0:1, „ტიტანი“ (ვოლგოგრადი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:0, სკა (ხაბაროვსკი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 1:1, „კირატი“ (ალმა-ატა) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 6:1, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „რუბინი“ (ყაზანი) 3:0, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:1.

გასაკვირვები აქტი

ლუსაკა, 17 ივნისი. (საკდესი). უმაღლესი საიდუმლოების ვითარებაში გუშინ საღამოს სოლსბერში ჩავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მძღვოსანთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ როდეზიის გუნდთან შეჯიბრებაში. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველაფერი იღონეს, რათა დასაგლეფგერმანელ სპორტსმენთა ჩასვლა არ გახმაურებულიყო. ამის მიზეზები ადვილი ასახსნელია.

1965 წელს როდეზიელმა რასისტებმა ცალმხრივი წესით გამოაცხადეს „დამოუკიდებლობა“, შემდეგ კი სამხრეთ როდეზია „რესპუბლიკად“ გამოაცხადეს, რაც მსოფლიო საზოგადოებრივობამ მიიჩნია იმის ცდად, რომ სამუდამოდ დაამკვიდრონ თავიანთი ბატონობა ქვეყნის აფრიკული მოსახლეობისადმი. დღემდე როდეზიის „რესპუბლიკა“ არ უცვნიათ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. სოლსბერის მმართველნი ითვალისწინებენ ამას და თავს არ იზოგავენ, რომ როგორმე გიერანონ თავისი და გამოვიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, თუნდაც სპორტის სარბიელზე. დასავლეთგერმანელ სპორტსმენთა ვიზიტი სოლსბერში მოწმობს, რომ ბონში ხელს უწყობენ როდეზიელ რასისტთა ცდებს თავი დაიოფონ პოლიტიკურ იზოლაციან. აფრიკის საზოგადოებრიობა ამ აქტს მეტად გასაკიცხ აქტად მიიჩნევს.

მატჩები და შედეგები

გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეორე ზონის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„ვოლგა“ (კალინინი) — „ლოკომოტივი“ (ალუფა) 4:1, „შინაკი“ (იაროსლავლი) — „შეტალურგი“ (ტულა) 2:1, „სატურნი“ (რიბინსკი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 0:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 2:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ბორბედი“ (ტაგანროგი) 1:1, „სალიუტი“ (ბელგოროდი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1, „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ამოლადი“ (სუმგაითი) 1:0, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:2, „ვოლგა“ (გორკი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 0:0, „დილა“ (გორი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 0:0.

ასპარეზობათა პანორამა

● **დაიწყო** საკავშირო ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. 17 ივნისს მორიგ მატჩში ერთმანეთს შეეხვნენ კაუნასის „ჟალგირისისა“ და კიევის „სტროიტელის“ გუნდები. წარმატება კიეველებს ხვდათ ანგარიშით 62:58.

● **პარიზში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფრენბურთში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და საფრანგეთის არმიელ ეიათა გუნდებს შორის. წარმატება საბჭოთა ფრენბურთელებს ხვდათ ანგარიშით 3:0 (15:12, 15:6, 15:5).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

20 ივნისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — საორკესტრო ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.05— ტ. ბაქრაძე. საფორტეპიანო ციკლი „სეფური ჩანახატები“, 11.20 — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ ბ. პეტროვსკის გამოსვლა (მოსკოვი), 11.45 — მუსიკა კინოფილმებიდან, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — სატირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი „შოლტი“, 14.30 — უკრავს ლ. კოგანი, 16.15 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები“. კონცერტი-საუბარი „ეროვნი მუსიკისა და მუსიკოსთა შესახებ“, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. რადიოჟურნალი „ერთი დღე ექსპერიმენტულ სკოლაში“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.45 — კალინიკოვი. სიმფონიური სურათი „ეკედარი და ბალმა“, 19.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 20.20 — საუბარი „ოპერაცია „თვითმკვლელობა“, 20.30 — ახალგაზრდობისათვის. რადიოჟურნალი „და ისევ ბგერებმის ბგერები“, 21.00 — „ძალისპირული“, 21.15 — „ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა“, 22.00 — ს. რასმანინოვი. ფრაგმენტები ოპერა „ალეკოდან“, 22.50 ს. ციწაძე. ბოემა ვიოლინისა და ფორტეპიანოსათვის, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

19 ივნისი

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.35 — ლექცია ქართულ ენაში, 11.05 — მხატვრული ფილმი, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — ბავშვებისათვის — „ცეროდენის ეკრანი“, 18.35 — გადაცემა ციკლიდან — „ჯანხონიერების სადარაჯოზე“, 19.05 — კინოპროგრამა, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — გადაცემა — „აკაკი წერეთელი“ — დაბადების 130 წლისთავის გამო, 21.20 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.50 — კინონარკვევი, 22.10 — საქართველოს ფირადი ტელევიზია: 1. კინოდარბაზი, 2. მომღერლის შემოქმედებითი პორტრეტები — თენგიზ მუშკუდიანი.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ

მინისძვრები ივნისში

ამას წინათ რედაქციამ მიიღო მკითხველის — გ. ბუხნიკაშვილის წერილი, რომელშიც იგი წერს: „ამ ბოლო ხანს გაზეთში კატასტროფული ხასიათის მიწისძვრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ბევრს აინტერესებს ასეთი ხშირი მიწისძვრების მიზეზები. მართალია, გასულ წლებშიც და საუკუნეებშიც იყო მიწისძვრები, შეიძლება უფრო ძლიერიც, მაგრამ, ვფიქრობ, ახლი ხშირი არა. ზოგს მიაჩნია, რომ ერთერთი მიზეზი მიწისძვრებისა არის ხშირი მიწისქვეშა ატომური აფეთქებები... კარი იქნებოდა თქვენს გაზეთში გამოგექვეყნებინათ სპეციალისტის მოსაზრებანი ამ საკითხზე“.

შეკითხვასთან დაკავშირებით ვთხოვდათ ინტერვიუს, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

...ბულგარეთი. 3 ივნისს სოფიაში რეგისტრირებულია მიწისქვეშა ქარიშხალი. მისი ეპიცენტრია ვიტოშის მთის განტოტებებში, 15 კილომეტრზე ბულგარეთის დედაქალაქიდან. მიწისძვრის ძალა — 3 ბალი.

...იუგოსლავია. 3 ივნისს მიწისძვრის მოწმე გახდნენ მაკედონიის ქალაქ დებარის მცხოვრებნი. მიწისძვრა საშუალო ძალისა იყო.

...პერუ. 4 ივნისს 1 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივი დროით აქ მოხდა ახალი მიწისძვრა...

...ხულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ვწერდით, თუ როგორ ახდენდნენ დაღესტანში მიწისქვეშა ბირგებით გამოწვეული ნგრევის შედეგების ლიკვიდაციას.

„კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტმა ნ. ტიურინამ ივნისის ამ მიწისძვრებთან დაკავშირებით ინტერვიუ აიღო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატთან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან ე. ა. კორიდალინთან.

— ეს სტიქიური უბედურებანი მოწმობენ დედამიწის ქერქის მერყეობას ბლანტრტის ამა თუ იმ ზონაში. ამ უკანასკნელი თვეების მოგლენებს რაღაც განსაკუთრებული არ შეიძლება ვუწოდოთ. შედარებთ მეორე ხნის წინათ, 60-იან წლებში, ჩვენ მოწმე ვიყავით მრავალი და ძალიან ძლიერი მიწისძვრისა იაპონიაში, ჩილეში, ალასკაში, აფრიკაში, იუგოსლავიაში, ჩვენში — ტაშკენტში.

მართალია, უკანასკნელი მიწისქვეშა ბირგები, რომლებიც პერუში მოხდა, შეიძლება ფენომენალურად რიცხეს მივაკუთვნოთ. ასეთი რამ ას წელიწადში ერთხელ ხდება. დღეს უკვე ცნობილია, რომ პერუში დაიღუპა 40 ათასამდე კაცი, უსახლკაროდ დარჩა 600 ათასამდეა...

— რით არის გამოწვეული დედამიწის სხვადასხვა წერტილში მიწისძვრების ასეთი სინქრონულობა?

— ყველა მიწისძვრა საკმაოდ კონკრეტულ ტექტონიკურ პირობებში ხდება. ამიტომ ძნელია ლაპარაკი იმ სტიქიურ უბედურებათა პირდაპირ გეგმიერიკულ კავშირზე, რომლებიც უკანასკნელ თვეებში პერუში, დაღესტანსა და იუგოსლავიაში მოხდა. ჩვენს ქვეყანაში ცნობილია ყველაზე ხშირი მიწისქვეშა ბირგების რაიონები — კავკასია, ყირიმი, შუა აზია, იმიერკარპატები, კურილის კუნძულები, კამჩატკა... ასე რომ ივნისის მიწისძვრათა თანადამთხვევა შემთხვევითია...

— შესაძლებელია თუ არა დღეს მიწისძვრების პროგნოზირება?

— ჯერჯერობით მიწისძვრების პროგნოზის რეალური შესაძლებლობა არ მოგვეპოვება.

**მიწისძვრების შესწავლის თანამედროვე მეცნიერულ პროგრამებში მთავარია, ჯერ ერთი, რაიონის სეისმურობის დეტალური შესწავლა, მეორე, დედამიწის ელექტრომაგნიტური ველის მოძრაობის ვარიაციების ზუსტად განსაზღვრა, შემდეგ — დედამიწის ზედაპ